სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080170929448919

№ 1287 06 / მარტი / 2019 წ.

სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 1 მარტს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ SMP190001316 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების შესყიდვას (CPV66500000 - სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები).

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს № 446 დადგენილების შესაბამისად, სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ საკუთრებაში არსებული ავტომანქანების სადაზღვევო მომსახურების შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, თუმცა ავტოსადაზღვევო მომსახურების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერები დასრულდა უშედეგოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადაზღვევო მომსახურების შესყიდვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტოტრანსპორტის სადაზღვევო მომსახურების არ არსებობის პირობებში შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების დაზიანების შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას მიადგება მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი და შეფერხდება მისი ფუნქციონირება.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს № 446 დადგენილების შესაბამისად, სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ საკუთრებაში არსებული ავტომანქანების სადაზღვევო მომსახურების შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, თუმცა ავტოსადაზღვევო მომსახურების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერები დასრულდა უშედეგოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადაზღვევო მომსახურების შესყიდვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტოტრანსპორტის სადაზღვევო მომსახურების არ არსებობის პირობებში შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების დაზიანების შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას მიადგება მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი და შეფერხდება მისი ფუნქციონირება.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია გადაუდებელი აუცილებლობის აღმოსაფხვრელად საჭირო კრიტიკული მოცულობის შესყიდვა განხორციელდეს მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ SMP190001316 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე